ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11-29

2016 წლის 27 აპრილი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 04/01/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016255) და დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპიის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ (დანართი №3) შევიდეს ცვლილება და მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების განმსაზღვრელ კრიტერიუმებში ცვლილება არ იწვევს დაფინანსების ოდენობის ცვლილებას მომსახურების მიღების დასრულებამდე“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი